საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 230

13/09/2021

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N171 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N168 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ განისაზღვროს - მამუკა ბარათაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 10 თებერვლის №37 ბრძანება.

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი